ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1399805

ნომერი: AR1239096

თარიღი : 22.07.2014

გაცემის თარიღი : 30.07.2014

გაცნობის თარიღი : 30.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ცხვედაძის ქუჩის მიმდებარედ , მდებარე საცხოვრებელი ჯგუფი "ა" N43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კნიაზ დასენი პ/ნ 01025003374
- კედიას ქ. 3, ბინა 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 22 ივლისს #AR1239096 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე კნიაზ დასენმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ცხვედაძის ქუჩის მიმდებარედ, მდებარე საცხოვრებელი ჯგუფი „ა“ N43–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.12.002.032) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

წარმოდგენილ მიწისნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარებისგენერალური გეგმის გრაფიკულინაწილის–რუკის, მიხედვითვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). „ქ. თბილისის ტერიტორიისგამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცებისშესახებ" ქალაქ თბილისისსაკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4-13 გადაწყვეტილების თანახმად ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის შესაბამისადაც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში ნებადართული არ არის.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე კნიაზ დასენს ქ. თბილისში, ცხვედაძის ქუჩის მიმდებარედ, მდებარე საცხოვრებელი ჯგუფი „ა“ N43–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.12.002.032) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.